Givi Bolotashvili
Doctor of History, Professor,
Member of Parliament of Georgia in 1999-2004

ASYMMETRY OF TOLERANCE

(Abstract)

KEYWORDS: Fundamentalism, Tolerance, Tyranny, Conflict, Moral Values, Freedom, Politics

The oppression of Muslims by Western states is often pointed out as the alleged motive for Islamic fundamentalism. Still, the reason behind it is the desire of the societies in Islamic countries. Let me give you a recent example. When King Abdallah proposed allowing women to drive in Saudi Arabia, his subjects fiercely protested, leading the monarch to withdraw from this progressive change. According to Sam Harris, an American philosopher and religious scholar, today the only barrier between us and the turbulent sea of Islamic misunderstanding is tyranny and violation of human rights.

Each society has its own set of moral values. The choice depends on many factors, including political and economic stability, the quality of education, and the level of social equality. People will always find excuses to justify their bad behaviour and mistreat others. The moral index increases proportionally to the development of people and the societies they create. Sam Harris offers a little mental experiment, and imagine New York City in 1862, when gang fights took place right in the streets of the Big

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Apple. From a modern perspective, such a city is viewed as a barbarian settlement. Yet, we are still discussing New York City and its enduring image of success. As Islam is incompatible with civil society, Harris suggests that it is the main reason why fundamentalists find it hard to agree on constructive dialogue. American philosopher believes that Islam will not cease its constant war against the West in all forms and possibilities until Muslims make a benevolent ideology out of their faith, or until they renounce it altogether.

The arguments offered by Slavoj Žižek, Sam Harris, Oriana Fallaci, or Alain Finkielkraut do not sound convincing enough. It is unacceptable to consider the growing religious self-awareness as the only source of conflicts in the modern world. Such a point of view should be reconsidered, as the problem of religious fundamentalism, in my opinion, is quite exaggerated in the West. The phenomenon of Islamic fundamentalism cannot be taken as proof of the revival of Islam. Technically, no country of Muslim culture has achieved either the economic or political success they hoped for and has not become a serious rival to the West.

The Eastern understanding of freedom differs from the Western concept of liberty, in which freedom implies the protection of individual human rights from the state. According to Islam, freedom means the willingness to obey the will of Allah. The Islamic understanding of freedom is one of the reasons that allows the terrorists to turn death into an absolute weapon, an effective means of attacking the West. Therefore, “death by

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

death" is considered to be the highest level of freedom. National Geographic quoted Osama bin Laden as saying: "This place may be bombed and we will be killed. We love death. The U.S. loves life. That is the big difference between us." There is nothing personal about terrorist suicides. This is not heroism but a sacred step taken by a Muslim fundamentalist for an idea.

The imbalance between the East and West must be taken into account at all times: The West is only slightly profitable. If a clash of civilisations becomes inevitable, the West will hope for a certain advantage due to its weaponisation and wealth. However, the United States should not forget the facts from world history: Wealth failed to save European empires from collapse. Moreover, military power could not prevent the heavily armed Soviet Union from surviving, and its repercussions continue to resonate today. The incomparable Roman Empire, which remains the world's strongest and largest one, lost the final battle against the physically vulnerable and weak Christians.

Political analyst Patrick Buchanan, who served as a special adviser to three American presidents—Richard Nixon, Gerald Ford, and Ronald Reagan—grounds his judgment in historical outcomes and analogies. He concludes that ideas, principles, and ideologies are the only true enemies that must be defeated.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გივი ბოლოთაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს
მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999-2004)

ტოლერანტობის ასიმეტრიულობა

საკვანძო სიტყვები: ფუნდამენტალიზმი, ტოლერანტობა, ტირანია, კონფლიქტი, მორალური ღირებულებები, თავისუფლება

უღმერთო ზნეობრივი ნიჰილიზმის თაობაზე ჯერ კიდევ დოსტოევსკი აფრთხილებდა მკითხველს თავის რომანში „ძმები კარამაზოვები“: „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშასადამე ყველაფერი ნებადართულია“.[1] დღევანდელი გლობალური ტერორი პირიქით ქადაგებს: თუ ღმერთი არსებობს, ყველაფერი ნებადართულია, მათ შორის, ასეულობით უდანაშაულო, შემთხვევითი გამვლელის აფეთქება, რომელიც „ცუდ ადგილას მოხვდა მისთვის ცუდ დროს“. ყველაფერი ნებადართულია უშუალოდ ღმერთის სახელით მოქმედი პირისთვის, ვისაც მისი უზენაესი ნების აღმასრულებელ ინსტრუმენტად მიაჩნია თავი. ასეთი პოზიცია მკვლელს ანთავისუფლებს ყოველგვარი შეზღუდვისგან. თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, მართებულია სტივენ ვაინრაიხის მოსაზრება: რელიგიის გარეშე კარგი ადამიანები კარგ საქმეებს ჩაიდენენ, ცუდი ადამიანები კი ცუდს და მხოლოდ რელიგიას შეუძლია შეაგულიანოს კარგი ადამიანი ცუდი საქმის ჩასადენად.[2]

ინდოეთისგან პაკისტანის გამოყოფის დროს მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა რელიგიურ ნიადაგზე. ამას მოყვა სამი ოფიციალური ომი. ფაქტობრივად, ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე არასოდეს შეწყვეტილა სისხლისღვრა. ამჟამად საუბარია ერთმანეთის გაჟლეტაზე ბირთვული იარაღის გამოყენებით. დავის საბაბია ფრიად უცნაური „ფაქტები“. თანაც, ადამიანები მზად არიან სიცოცხლე დათმონ ისეთ დებულებათა ერთგულებისათვის,

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

რომელთა დამტკიცება შეუძლებელია. ზოგი ფიქრობს, რომ შუღლის მიზეზია ქაშმირის ტერიტორია. სინამდვილეში, ინდოეთი და პაკისტანი ერთმანეთს ისლამისა და ინდუიზმის შეუთავსებლობის გამო მტრობენ.[3]

დღეს ისლამურ სამყაროს განვითარების ორი ძირითადი მიმართულებიდან შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი: ხომეინის[4] გზა, ან ათათურქის[5] გზა. ისლამისტი ფუნდამენტალისტები ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ირანსა და სუდანში; გარდამავალი წარმატებით იბრძვიან ავღანეთში, სადაც თალიბები დაბრუნდნენ მთავრობაში 2021 წლის აგვისტოში. პროდასავლური მიზანსწრაფვა თანამედროვე თურქეთს პოლიტიკურ წონას მატებს და გზას უკვალავს როგორც ევროპული ოჯახის, ასევე, მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოთა ვიწრო წრისკენ. ამავე დროს, ეს პროგრესი ერდოღანის ქვეყანას სულ უფრო მეტად აახლოებს ისტორიულ წარსულთან.

ისლამური ფუნდამენტალიზმის სავარაუდო მოტივად ხშირად ასახელებენ დასავლეთის მიერ მუსლიმთა შევიწროებას, მაგრამ ამის მიზეზი ისლამური ქვეყნების საზოგადოებათა ნება უფროა. როდესაც მეფე აბდალამ წინადადება წამოაყენა, რომ საუდის არაბეთში ქალებს ავტომანქანის ტარების უფლება მისცემოდათ, მისმა ქვეშევრდომებმა სასტიკად გააპროტესტეს და მეფეს უკანდახევა აიძულეს. ამერიკელი ფილოსოფოსისა და რელიგიათმცოდნე სემ ჰარისის აზრით, „დღეს ჩვენსა და ისლამური გაუგებრობის აზვირთებულ ზღვას შორის მხოლოდ ერთი წინაღობაა – ტირანია და ადამიანის უფლებების დარღვევა“.[6]

თითოეულ საზოგადოებას ზნეობრივ ფასეულობათა საკუთარი ნაკრები აქვს. არჩევანი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, განათლება, სოციალური თანასწორობის დონე. ადამიანი ყოველთვის გამოძებნის საბაბს, სხვის მიმართ თავისი ცუდი ქცევა რომ გაამართლოს. ზნეობა განვითარების პროპორციულად მატულობს. სემ ჰარისი გვთავაზობს, წარმოვიდგინოთ 1862 წლის ნიუ-იორკი,[7] სადაც

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ბანდებს შორის გარჩევები პირდაპირ ქუჩებში იმართებოდა. თანამედროვე გადმოსახედიდან, ასეთი ქალაქი ბარბაროსულ დასახლებად აღიქმება.[8] ჰარისს მიაჩნია, რომ ფუნდამენტალისტთა კონსტრუქციულ დიალოგზე დათანხმება ძნელია ისლამის სამოქალაქო საზოგადოებასთან არათავსებადობის გამო. ამერიკელი ფილოსოფოსის აზრით, ვიდრე მუსლიმები თავიანთი რწმენისგან კეთილგანწყობილ იდეოლოგიას არ შექმნიან, ან სანამ საერთოდ უარს არ იტყვიან მასზე, ისლამი არ შეწყვეტს სხვადასხვა ფორმით წარმოებულ მუდმივ ომს დასავლეთთან.[9]

ისლამური ტერორისტული დაჯგუფებები და ფუნდამენტალისტები უარყოფენ იმ პოლიტიკურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ ფასეულობებს, რაც დაკავშირებულია გლობალიზაციასა და მის მთავარ მამოძრავებელ ძალასთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამავე დროს, ისლამის მიმდევარ ფუნდამენტალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ტერორისტულ ბუნებას არ ავლენს. უფრო მეტიც, ზოგიერთი თავგადაკლული და ორგანიზებული დაჯგუფება, მათ შორის, ჰამასი[10] და ჰეზბოლა[11] რადიკალურად ფუნდამენტალისტური არცაა, ამერიკელი სემ ჰარისის აზრით.[12]

ჰარისი აღნიშნავს, რომ XXI საუკუნის დასაწყისისთვის ყველა არაბული ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტის რაოდენობა გაცილებით დაბალია, ვიდრე ესპანეთის შიდა პროდუქტი. მსგავსი სიტუაციაა კულტურულ სფეროშიც. ჩამორჩენილობა და იზოლაცია, რაც განაპირობებს ცუდ პოლიტიკურ შედეგს, გამოწვეული არაა მუსლიმთა გაუნათლებლობითა თუ სიღატაკით. ტერორისტული იდეებისა და ქმედებების წყარო განათლებულ მუსლიმთა ფენიდან მოდის. ჰამასის ყველა ხელმძღვანელს კოლეჯი აქვს დამთავრებული, ზოგიერთს მაგისტრის ხარსხიც კი გააჩნია. როდესაც არაბული სამყაროს სავალალო ჩამორჩენილობას ხედავენ, განათლებულ მუსლიმებს ისლამის უპირატესობისადმი რწმენა უძლიერდებათ.[13] ყოველი მუსლიმის ცხოვრების სტანდარტი რომ

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ამერიკის საშუალო კლასისას შეესაბამებოდეს, ეს აშკარად გაამწვავებდა არსებულ პრობლემას.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შეფასებისას, მუსლიმი თემის წარმომადგენლები, ძირითადად, ორგვარ მტკიცებულებას იყენებენ:

- ტერორისტები, სინამდვილეში, ებრაელები იყვნენ;
- ეს ტერაქტი აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს (CIA) მიერ იყო ორგანიზებული.

ამერიკაში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის მიზეზთა ძიებისას, სემ ჰარისი კითხვებს სვამს და თავადვე პასუხობს:

- მდიდარი უსამა ბინ ლადენი რატომ შევიდა გამოქვაბულში, სადაც თვალითუნახავი, მისთვის უცხო ადამიანების დახოცვა დაგეგმა?
  პასუხი ცხადია: იმიტომ, რომ მას საკუთარი ქმედების სისწორე ღრმად სწამდა.
- რატომ თქვა უარი ნორმალურ ცხოვრებაზე 19-მა განათლებულმა არაბმა და ათასობით ადამიანის მკვლელობა გადაწყვიტა?
  პასუხი აქაც დღესავით ნათელია: რადგან სიკვდილის შემდეგ სამოთხეში მოხვედრის სწამდათ.[14]

როდესაც რიგითი მუსლიმი მზადაა, ცოცხალი ბომბი გახდეს, მხოლოდ ჯიჰადისა[15] და წამებულისთვის გამზადებული იმქვეყნიური ჯილდოს გათვალისწინებითაა შესაძლებელი თვითმკვლელი ტერორისტის ქცევის ახსნა.[16]

სემ ჰარისი რადიკალიზმისა და ფუნდამენტალიზმის დამანგრეველ გავლენას აანალიზებს განსხვავებული რწმენის მქონე ინდივიდთა შემთხვევაში: „ზოგჯერ რწმენა ადამიანს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, მისი გადარწმუნება შეუძლებელი ხდება... განა რაიმე განსხვავება არსებობს ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთს სწამს, რომ რამდენიმე ებრაელის მოკვლისათვის სამოთხეში მოხვდება და საჩუქრად სამოცდაათი ქალწული

ერგება, ხოლო მეორეს სჯერა, რომ ალფა-კენტავრის[17] ბინადარი მას მშვიდობის სხივებს უგზავნის იმ ელექ-ტროფენიდან, რომლითაც თმას იშრობს?“.[18] გამოსავლის ძიებას, სემ ჰარისი შემდეგი სახის დასკვნამდე მიჰყავს: „ისლამი და დასავლეთი მშვიდობიან თანაარსებობას მხოლოდ მაშინ შეძლებს, როდესაც მუსლიმთა უმრავლე-სობა ყურადღებას აღარ მიაქცევს საკუთარი რელიგიის დოგმებს, როგორც ეს ქრისტიანთა უმრავლესობამ მოა-ხერხა“.[19]

სემ ჰარისის თვალსაზრისს იზიარებდა პალესტინე-ლი ამერიკელი პროფესორი ედვარდ საიდი (1935-2003), რომელსაც ალ-კაიდას წევრთა უმრავლესობა „უგუნურ ფანატიკოსად“ მიაჩნდა ისევე, როგორც იაპონური სექტის „აუმ სინრიკიოს“[20] მიმდევრები ანდა ამერიკული „სახალ-ხო ტაძრის“[21] მრევლი.[22]

იტალიელ ჟურნალისტს, ორიანა ფალაჩის[23] (1929-2006) ტერორის წინააღმდეგ ომი არა „ცივილიზაციათა შეჯახებად“, არამედ ცივილიზაციასა და ბარბაროსობას შორის დაპირისპირებად მიაჩნდა. იგი რელიგიას თვლიდა მტრად და არ ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ მხოლოდ ისლამის პოლიტიკურად გამოყენება უნდა აღქმულიყო მტრობად. იტალიელი ჟურნალისტი ამტკიცებდა, ევროპამ უკვე გამოაცხადა სულიერი კაპიტულაცია და თავს ის-ლამის პროვინციად აღიარებსო. ამის დასტურად ფალა-ჩის ტოლერანტობის ასიმეტრიულობა მოჰყავდა: ევროპა განუწყვეტლივ იხდის ბოდიშს, მხარს უჭერს ახალი მეჩე-თების მშენებლობას საკუთარ ტერიტორიაზე, არამუსლი-მებს მოუწოდებს ისლამის მიმდევრების პატივისცემისკენ და ა.შ. ამ დროს, თუ მუსლიმი ადამიანი გაქრისტიანდება, მას სიკვდილით დასჯიან ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში.[24] ამ ყველაფერს იტალიელი ჟურნალისტი ევროპის მიერ კულტურული და პოლიტიკური თვითმყოფადობის დაუც-ველობის გამოვლინებად თვლიდა.

ორიანა ფალაჩი, რომელმაც მულტიკულტურული ტოლერანტობის უარყოფითი ტენდენცია წარმოაჩინა, ათეისტი იყო და არა – ორთოდოქსი ქრისტიანი. არასწო-

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

რი იქნება მის ნაწერებში რასიზმის ძებნა. ფართო აუდიტორიისთვის იგივე რეალობის ჩვენებას ცდილობდა ფრანგი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე, ალენ ფინკელკრაუტი[25] ფრანგულ ქალაქებში 2006 წლის მღელვარებათა თაობაზე კომენტარის გაკეთებისას: „თუ არაბი ცეცხლს წაუკიდებს სკოლას, ეს აჯანყებაა. თუ ამას თეთრკანიანი გააკეთებს, ფაშიზმია... რასიზმთან ბრძოლის კეთილშობილური იდეა ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გარდაიქმნება ცრუ იდეოლოგიად. XX საუკუნეში ძალადობის წყაროს წარმოადგენდა კომუნიზმი, ხოლო XXI საუკუნეში იგი ჩაანაცვლა ანტირასიზმმა“.[26]

ჟიჟეკის, ჰარისის, ფალაჩისა თუ ფინკელკრაუტის არგუმენტები ბოლომდე დამაჯერებლად ვერ ჟღერს. რელიგიური თვითშეგნების გაძლიერება არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად აღიქმებოდეს მზარდი კონფლიქტურობის წყაროდ თანამედროვე მსოფლიოში. ვფიქრობ, რელიგიური ფუნდამენტალიზმის პრობლემა გარკვეულწილად გაზვიადებულია დასავლეთში. სინამდვილეში, ისლამური ფუნდამენტალიზმის ფენომენი ისლამის აღორძინების დასტურად ვერ ჩაითვლება. საქმე ისაა, რომ მუსლიმური კულტურის ვერცერთმა ქვეყანამ ვერ მოიპოვა ისეთი ეკონომიკური თუ პოლიტიკური წარმატება, რისი იმედიც ჰქონდა და ვერ გახდა დასავლეთის სერიოზული კონკურენტი.

სეკულარული[27] პანარაბული სახელმწიფოს იდეა 1967 წელს დაიმსხვრა არაბთათვის დამამცირებელი ექვსდღიანი ომის[28] გამო. შაჰ რეზა ფეჰლევის „თეთრი რევოლუციით“[29] წამოწყებული პროდასავლური გზა საპირისპირო მიმართულებით განაგრძო ქვეყანამ ირანის 1978-1979წ.წ. რევოლუციის შემდეგ. ისლამური საზოგადოების ღირსება შებღალა ორმაგმა წარუმატებლობამ: ვერც ტრადიციული საზოგადოების შენარჩუნება მოხერხდა და ვერც დასავლური ტექნიკისა და ფასეულობების წარმატებით ათვისება. გაჩნდა ნოსტალგიური მისწრაფება, აღედგინათ ძველი, „უფრო წმინდა“ ფასეულობები, რომლებიც,

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

როგორც თვლიდნენ, შორეულ წარსულში უკვე არსებობდა. ასე გაძლიერდა ფუნდამენტალიზმი.

ისლამური სამყარო მსოფლიო რუკის ერთ-ერთ ყველაზე მოუსვენარ რეგიონს წარმოადგენს. მიმდევრების რაოდენობით, ისლამი მეორე რელიგიაა მსოფლიოში და დედამიწის მოსახლეობის მეხუთედს შეადგენს (1.3 მლრდ ადამიანი). აქედან 20% მუსლიმი არაბია, დანარჩენები კი სამხრეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ცხოვრობენ. სწრაფად იზრდება მუსლიმთა თემები აშშ-ში (5.7 მლნ), საფრანგეთში (3 მლნ), გერმანიასა (3 მლნ) და დიდ ბრიტანეთში (1.5 მლნ). ისლამური სამყარო ფლობს ნავთობისა და გაზის კოლოსალურ საბადოებს, რის გამოც აღნიშნულ ტერიტორიაზე მსოფლიო კაპიტალის ინტენსიური ტრანსფერი მიმდინარეობს.

გარეგნული მონოლითურობის მიუხედავად, თავისი არაერთგვაროვნებისა და მრავალფეროვნების გამო ვერ შექმნა მუსულმანურმა სამყარომ ხელისუფლების ერთიანი ცენტრი. თუმცა, დღევანდელ საგარეო პოლიტიკაში მრავალი ისლამური სახელმწიფო ცდილობს რელიგიური მოტივების გააქტიურებას. სხვადასხვა პერიოდში არაერთი რელიგიური რადიკალური ორგანიზაცია აღმოცენდა პაკისტანში, ავღანეთში, ბოსნიასა და ქაშმირში.[30] მათი დაფინანსების წყარო მრავალგვარია:

- საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციები;
- მდიდარი არაბული ქვეყნები;
- საერთაშორისო ისლამური უნივერსიტეტი[31] ისლამაბადში (პაკისტანი);
- ალ-აზჰარის უნივერსიტეტი[32] კაიროში (ეგვიპტე);
- ლტოლვილთა ცენტრი „ალ-ქიფაჰი“[33] ნიუ-იორკში (აშშ) და ა.შ.

XX საუკუნეში არაერთი ექსტრემისტული ორგანიზაცია[34] წარმოიშვა მუსულმანურ ქვეყნებში:

- ჯიჰადის მსოფლიო ფრონტი;[35]
- ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია;[36]
- ისლამის სახალხო კონფერენცია;[37]

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

- ისლამური ლეგიონი.[38]

ორგანიზაციები იქმნებიან, უქმდებიან, გადაჯგუფდებიან და მათი დამფინანსებლებიც პერიოდულად იცვლებიან. უცვლელია ასეთი ინსტიტუციების მიზნები, ფუნქციონირება და სტრუქტურა. მათი გააქტიურებაც ასევე დროებითია.

საყურადღებო ფაქტია, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობენ არა რელიგიური ფუნდამენტალისტები, არამედ საერო ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანებები:

1. ოპეკი;[39]
2. არაბული თანამშრომლობის საბჭო;[40]
3. სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა საბჭო;[41]
4. არაბული მაღრიბის კავშირი.[42]

პრაქტიკულად, ერთადერთი მუსლიმური ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო დონეზე მოქმედებს, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაა, მაგრამ მისი წევრობა არ გულისხმობს მონაწილე ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ისლამის დანერგვას ანდა შარიათის შემოღების ვალდებულებას.

ცხადია, არსებობენ რადიკალურად განწყობილი სახელმწიფოებიც. ამერიკელების მიერ განსაზღვრული ე.წ. „ბოროტების ღერძი“ ხუთ ისლამურ ქვეყანას მოიცავს: ირანი, ერაყი, სირია, ლიბია და სუდანი. არსებული სიტუაციის ასე გადაჭარბებით შეფასება პრობლემის გაზვიადება მგონია და გამოწვეული უნდა იყოს დასავლელი ადამიანის ყოველდღიურ მეხსიერებაში ისლამის შესახებ მყარად ჩანერგილი სტერეოტიპებით. ასეთი წინასწარი ნეგატიური განწყობა იწვევს მუსლიმებისადმი, როგორც ტერორისტებისა და ფანატიკოსებისადმი, შიშსა და უნდობლობას.

აუცილებელია მუსლიმთა მოტივაციის გააზრება და სწორად აღქმა. მათი გაგების პროცესში ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ნაციონალიზმი. ევროპელთათვის

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ნაციონალიზმისა[43] და ქსენოფობიის[44] ჭეშმარიტი ალტერ-ნატივა იქნებოდა არა ქსენოფილია[45] ანუ უსაზღვრო სიყ-ვარული განურჩევლად ყველა უცხოელისადმი, არამედ ქსენოლოგია,[46] რომელიც თანაგრძნობით ეკიდება უცხო-ტომელთა პრობლემებს. ქსენოლოგიის დახმარებით შეიძ-ლება იმის დანახვა, რომ არაბულ და, მთლიანად, ისლა-მურ სამყაროში სადამ ჰუსეინის დიქტატორული ქმედებე-ბი სხვაგვარად აღიქმებოდა, ვიდრე დასავლეთში.

აღმოსავლეთში სადამ ჰუსეინის საქციელში დიდ ცოდვებს ნაკლებად ხედავდნენ. არაბი რადიკალებისათ-ვის ერაყის ქუვეითზე თავდასხმაც კი ნავთობის მარაგის სამართლიან, სოციალურ გადანაწილებას წარმოადგენდა. არაბები ქუვეითს თვლიდნენ დასავლეთის ნაკრძალად აღმოსავლეთში, ხოლო ერაყის ლიდერი მათ თვალში გა-ნასახიერებდა ისეთ მოღვაწეს, ვინც არაბებისა და ისლა-მისთვის ძველი დიდების დაბრუნებას ცდილობდა. ამიტო-მაც გამოიწვია ერაყის ოკუპაციამ ანტიამერიკანიზმისა და არაბული სოლიდარობის გაძლიერება რეგიონში. 2001 წლის მიწურულს უსამა ბინ ლადენს ნდობას უცხადებდა გამოკითხულ პალესტინელთა 71%, პაკისტანელების 65% და იორდანიელების 55%.[47]

აშშ-ის ადმინისტრაცია იმაშიც შეცდა, 2003 წლის გაზაფხულზე ერაყის ოკუპაციასა სადამ ჰუსეინის რეჟიმი ისე რომ დაამხო, მსოფლიო თანამეგობრობა არ დაურ-წმუნებია, ერაყს თუ ჰქონდა ბირთვული იარაღი. ამ ომის საბაბს ხომ ერაყის მიერ ბირთვული იარაღის ფლობა წარმოადგენდა. თქმა არ უნდა, სადამ ჰუსეინი თანამედ-როვეობის ერთ-ერთი სასტიკი ტირანი იყო, რომელიც შე-უბრალებლად ანადგურებდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგე-ებს, მომწამლავი გაზის გამოყენებით სპობდა ქურთების სოფლებს და ნამდვილი ჯალათივით იქცეოდა. ოღონდ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღმოსავლეთში მსგავს ქმედებებს სულ სხვა კუთხით აღიქვამენ, ვიდრე დასავ-ლეთში. აშშ-ის ადმინისტრაცია მუსლიმთა ლოგიკას უნ-და ჩასწვდომოდა, სანამ ძალისმიერ ქმედებას განახორცი-ელებდა სხვის ქვეყანაში.

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

2011 წელს „არაბულმა გაზაფხულმა“ რადიკალური ცვლილებები მოიტანა ისლამურ სამყაროში, რაც აშშ-ის კიდევ ერთი უპატიებელი პოლიტიკური შეცდომა აღმოჩნდა. მუსულმანური საზოგადოების უჩვეულო გააქტიურება და პოლიტიზირება ეგვიპტეში დაიწყო ჰოსნი მუბარაქის[48] (1928-2020) პრეზიდენტობისას და სხვა რამდენიმე ისლამურ სახელმწიფოშიც გავრცელდა. ობამას ადმინისტრაციის მიერ წაქეზებულ ადგილობრივ დაჯგუფებათა აგრესია, რომელსაც ხალხის დიდი ნაწილი ეტაპობრივად შეუერთდა, მიმართული იყო არაბულ სამყაროში არსებული ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ. კრიტიკა ძალადობაში გადაიზარდა და მოვლენებმა სენსაციური ხასიათი მიიღო: ლიბიაში კადაფის ნახევარსაუკუნოვანი რეჟიმი დაემხო, ხანგრძლივმა სამოქალაქო ომებმა სრულიად მოშალა ერაყის ცხოვრების წესი და მიწასთან გაასწორა სირია. ერთი შეხედვით, არსაიდან ამოვარდნილმა მასშტაბური გამოსვლების გრიგალებმა ერთი მეორის მიყოლებით გააქრეს ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკურად მყარი ავტორიტარული რეჟიმები და რამდენიმე არაბული სახელმწიფო, ფაქტობრივად, დაშლის პირას მიიყვანეს.

თავიდან ისე ჩანდა, თითქოს, ესოდენ დიდი რაოდენობის, მანამდე პოლიტიკურად ინერტულმა ხალხმა საკუთარი ცხოვრების თავად წარმართვისთვის გამოიღო ხელი. ძალადობრივი პროტესტის ფორმას არასოდეს მოჰყოლია ქვეყნის აღმშენებლობა. საბოლოო ჯამში, „არაბულმა გაზაფხულმა“ ყველგან ისლამური ფუნდამენტალისტების წისქვილზე დაასხა წყალი და „შეჩვეულ ჭირზე“ მძიმე ტვირთად დააწვა ადგილობრივ მოსახლეობას. ასე შეცვალა ავტორიტარიზმის ერთი სახეობა უფრო უარესმა სახელისუფლებო ფორმამ.[49] „არაბული გაზაფხულის“ მაგალითმა ნათლად აჩვენა, რომ მსოფლიო პოლიტიკის სამეულში (პოლიტიკური დემოკრატია, ეროვნული სახელმწიფო, გლობალიზაცია) მათი გარკვეული ნაწილები არათავსებადია.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თავისუფლების კონცეფციის აღმოსავლური გააზრება აბსოლუტურად განსხვავდება დასავლურისგან, სადაც თავისუფლება გულისხმობს ადამიანის ინდივიდუალური უფლებების დაცვას სახელმწიფოსაგან. ისლამის მიხედვით, თავისუფლება ალაჰის ნებისადმი ნებაყოფლობით მორჩილებას ნიშნავს. თავისუფლების ისლამური გაგება ერთ-ერთი მიზეზია, რომლის საშუალებითაც მოახერხეს ტერორისტებმა სიკვდილი ექციათ აბსოლუტურ იარაღად, დასავლეთზე იერიშის მიტანის საშუალებად. მათ „სიკვდილით სიკვდილი" თავისუფლების უმაღლეს გამოვლინებად მიაჩნიათ. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ბინ ლადენმა განაცხადა: „რას წარმოადგენს ჩვენთვის ამერიკული ბომბდამშენები! ჩვენს ადამიანებს ისეთივე დოზით სწყურიათ სიკვდილი, რა დოზითაც ამერიკელებს სიცოცხლე!"[50] ტერორისტთა თვითმკვლელობაში არაფერია პირადული. ეს გმირობა კი არა, საკრალური ნაბიჯია, რომელსაც იდეისთვის დგამს მუსლიმი ფუნდამენტალისტი.

სურვილის შემთხვევაში, მუსლიმებს მათი რელიგია დასავლეთისადმი სიძულვილის აუარებელ მიზეზთა გამოძებნის საშუალებას აძლევს. მაგალითად, ვერ იტანენ მატერიალიზმსა და საბაზრო ეკონომიკას, რასაც აიგივებენ შეერთებულ შტატებთან.

ამერიკელმა ნეოკონსერვატორმა პატრიკ ბიუქენენმა[51] ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მიზეზზე:

- დასავლეთში ცამდე აყავთ დემოკრატია და ადამიანის უფლებები, მაგრამ მხარს უჭერენ დიქტატორებსა და ოლიგარქებს, რომლებიც ტანჯავენ ისლამის მიმდევარ ხალხებს და იტაცებენ მათი ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს;
- ვაჰაბიტები[52] საუდის არაბეთში ამერიკელი ქალების ყოფნას შეურაცხმყოფელ მკრეხელობად აღიქვამენ, თითქოს, ამერიკელებს ტაძრის მეძავები გამოეგზავნოთ საუდის არაბეთის სიმამაცედაკარგული მმართველების დასაცავად;

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

- ამერიკული ახალი „წარმართული“ კულტურა (ალკოჰოლი, ნარკოტიკები, პორნოგრაფია, უხამსი მუსიკა) რყვნის მართლმორწმუნე მუსლიმებს;
- არაბების აღშფოთებას იწვევს დასავლეთის (აშშ) ორმაგი სტანდარტები ისრაელისა და არაბების მიმართ.

ამ დროს ამერიკელები გულს იმშვიდებენ ისეთი პრიმიტიული მოსაზრებით, რაც მეორეკლასელის ინტელექტისთვისაც კი შეურაცხმყოფელია: 11 სექტემბერს ამერიკელებს თავს დაესხნენ მათი სიკეთის, ან მათი სიმდიდრისა და კეთილდღეობისადმი შურის გამო.

როგორც ედვარდ საიდმა თავის მონოგრაფიაში „ორიენტალიზმი“[53] აჩვენა, დასავლეთში მტკიცედ დამკვიდრდა წარმოდგენა ისლამური ცივილიზაციის, როგორც „მეორადი“ ხასიათის მქონის შესახებ, რაც ყველაფერში იგრძნობა. ასეთი უაღრესად უპატიებელი და მცდარი დამოკიდებულება თავის დროზე გამოხატა ფრანგმა ფილოსოფოსმა, ორიენტალისტმა, რელიგიის ისტორიკოსმა და ფილოლოგმა ჟოზეფ ერნსტ-რენანმა (1823-1892): „სემიტები თავიანთ პრიმიტიულობას ყველაფერში ავლენენ და ამის გამო, არასრულყოფილ რასად წარმოჩნდებიან. ამ რასის... ინდოევროპულ ოჯახთან კავშირი ფანქრის მონახაზის მხატვრულ ტილოსთან მსგავსების ანალოგიურია: მას აკლია მრავალფეროვნება, სისხლსავსეობა, მჩქეფარე ცხოვრება, რაც თვითგანვითარების საშუალებაა... სემიტმა ერებმა აყვავების პერიოდი მათი არსებობის საწყის ეტაპზე ისე გაიარეს, რომ ვერც კი მიაღწიეს ნამდვილ სიმწიფეს“.[54] ერნსტ-რენანის მსგავსად მსჯელობდნენ სხვებიც, მათ შორის: გერმანელი ისტორიკოსი ლეოპოლდ ფონ რანკე (1795-1886), შვეიცარიული წარმოშობის ბრიტანელი ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის მკვლევარი იოჰან ლუდვიგ ბურკჰარდტი (1784-1817), გერმანელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი (1880-1936)... პოლიტკორექტულობის გამო დასავლეთი

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ამის თაობაზე უფრო ღიად არ საუბრობს, მაგრამ აღმოსავლეთი უთქმელადაც ყველაფერს გრძნობს.

ფუნდამენტალისტების პრობლემა ის კი არაა, რომ მათ ევროპელებზე ნაკლებად განვითარებულ ხალხად მიიჩნევენ დასავლეთში, არამედ ის, რომ აღმოსავლეთს საკუთარი ფარული კომპლექსები აწუხებს. სწორედ ამიტომ, შემწყნარებლური შინაარსის, დასავლური პოლიტკორექტულობით აღსავსე განცხადებები (ჩვენზე ნაკლები არა ხართო) აღმოსავლურ რესენტიმენტს[55] აძლიერებს და გლობალურ პოლიტიკას ძაბავს.

არც დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურული სხვაობაა პრობლემა. პირიქით, დღეს კონფლიქტის მიზეზი ისაა, რომ ფუნდამენტალისტები საკმაოდ დაემსგავსნენ დასავლელ ადამიანებს. მათ შეითვისეს დასავლური სტანდარტები და საკუთარ თავს დასავლური სტერეოტიპული მზერით, კრიტიკულად აფასებენ. იქნებ, პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ფუნდამენტალისტებს აკლიათ საკუთარი უპირატესობის ჭეშმარიტად რასისტული თვითრწმენა.[56]

ის, რასაც დასავლეთში „ტერორიზმს“ უწოდებენ, ომია იმ ხალხის თვალში, ვისაც არ გააჩნია ბირთვული იარაღი და არ ჰყავს სატანკო დივიზიები. ასეთ „ომს“ აწარმოებდნენ თალიბები, კოლუმბიელი მეამბოხეები, პალესტინელი არაბები, ამერიკის ერაყელი მტრები. ამ „ომს“ დასასრული არ უჩანს და კარგა ხანს არც ექნება, თუ 2021 წლის აგვისტოს ავღანური პერიპეტიებით ვიხელმძღვანელებთ.[57] შესაძლოა, ერთ დღეს სემუელ ჰანთინგტონის პესიმისტური პროგნოზი „ცივილიზაციათა შეჯახების“[58] თაობაზე მისაღებიც კი აღმოჩნდეს.

დასავლეთის მიერ აღმოსავლეთის სწორად აღქმა უმნიშვნელოვანესია არაერთი მიზეზის გამო. 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ ანტიარაბული ისტერიის კიდევ უფრო მეტად გამძაფრებას ურთიერთზიზღის ისეთი ესკალაციის გამოწვევა შეეძლო, რომ კვაზიომი[59] დიდ სამხედრო შეტაკებაში გადაზრდილიყო. ამის ალბათობა საკმაოდ რეალისტური ჩანდა. 2001 წლის ტერაქტის მიზანი

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

არა პოლიტიკური, არამედ სიმბოლური (არქიტექტურული სიმბოლოს მოსპობა და სამხედრო ძლიერების სიმბოლოს განადგურება) იყო; მაგრამ სიცოცხლის მასობრივი მოსპობის (3 ათასი დაღუპული) გამო, იმ კრიტიკული ზღურბლის გადალახვა მოხდა, რომლის შემდეგ თვით დაუჯერებლის წარმოდგენაც შესაძლებელია, მაგალითად, ბირთვული იარაღის გამოყენება რომელიმე დაჯგუფების მიერ.[60]

11 სექტემბრის ტერაქტმა დამატებითი, კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემა წარმოშვა ავღანეთის სახით. ჯერ კიდევ 1996 წლის 3 აპრილს ქალაქ ყანდაარში თალიბების სულიერი ლიდერი, რომლის სახელსაც მუსლიმების მკაცრი წესების მიხედვით, ოფიციალურად არც ახსენებდნენ, მოლა ომარი[61] (1960-2013) გამოცხადდა ავღანელი თალიბების ბელადად და ქვეყნის საერო მმართველად. ნახევარ წელიწადში მან ქაბული აიღო და ავღანეთის ისლამური საემირო შექმნა, რომელსაც ულემები[62] მართავდნენ. ულემთა დახმარებით, თალიბებმა ტოტალიტარული სახელმწიფო ჩამოაყალიბეს ავღანეთის ტერიტორიაზე, სადაც თავშესაფარი მისცეს 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზატორს, ბინ ლადენს.

ავღანეთში აშშ-ისა და მისი ნატოელი მოკავშირეების სამხედრო ოპერაცია დაიწყო თალიბების წინააღმდეგ და ალ-კაიდას ლიდერის დასაჭერად. ქაბულის ხელმძღვანელობა სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა და ამერიკამ ადვილად მიაღწია წარმატებას ადგილობრივ „ჩრდილოეთის ალიანსთან“ ერთად. 2001 წლის 6 დეკემბერს დაეცა ყანდაარი – თალიბების უკანასკნელი დასაყრდენი ქვეყნის სამხრეთში. იმავე წლის 22 დეკემბერს ავღანეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდა დასავლეთისადმი লოიალურად განწყობილი პრეზიდენტი ჰამიდ ქარზაი. დასავლეთმა ავღანეთში დატოვა შეზღუდული რაოდენობის სამხედრო კონტინგენტი მანამ, სანამ აშშ-ის 46-ე პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა არ განახორციელა დასავლელი სამხედროების სრულიად აბსურდული გამოყვანა ავღანეთიდან. ადამიანური დანაკარგის ფასად, ოცწლიანი მცდელობის შე-

დეგად სანახევროდ მიღწეული წარმატება ბაიდენის ადმინისტრაციამ წყალს გაატანა „ხელის ერთი მსუბუქი მოსმით“.

ქსენოლოგია არ უნდა წავიდეს თავისი ინტერესებისა და ამოცანებისგან ერთობ შორს. ყველა უნდა ზრუნავდეს საკუთარ უსაფრთხოებაზე. ოღონდ, შესაძლო შემწყნარებლობის, შესაძლო დათმობის მიჯნათა განსაზღვრაში აუცილებელია პოლიტიკურ შესაძლებლობათა გონივრული მაქსიმუმის წინასწარ სწორად განსაზღვრა. არაბულ სამყაროში ამერიკული ძალადობითა და პროპაგანდისტულ-მილიტარისტული ზემოქმედებით რამე სასიკეთო შედეგის მიღწევა აბსოლუტურად შეუძლებელია. ამას უახლესი ისტორიის გაკვეთილები ამტკიცებს.

პატრიკ ბიუქენენი წერს, რომ ბევრ ადამიანს აცბუნებს იმ ძალისხმევათა უთანასწორობა, რომელსაც თითოეული მხარე განახორციელებს, დათმობის თვალსაზრისით. დასავლეთი მოითხოვს ყველა რელიგიური რწმენის თანასწორუფლებიანობას, მაგრამ ისლამი უარზეა, რადგან ყურანის თანახმად, მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რწმენა არსებობს.

აუცილებლად გასათვალისწინებელია დისბალანსი მხარეებს შორის: დასავლეთი მხოლოდ ოდნავ მომგებიან მდგომარეობაშია. თუ ცივილიზაციებს შორის შეჯახება გარდუვალი გახდება, დასავლეთს თავისი შეიარაღებისა და სიმდიდრის გამო, გარკვეული უპირატესობის იმედი ექნება. არ უნდა დაავიწყდეს აშშ-ს, რომ სიმდიდრემ ვერ დაიცვა კრახისგან ევროპული იმპერიები წარსულში, ხოლო იარაღით გამოტენილი საბჭოთა კავშირი სამხედრო ძლიერებამ ვერ იხსნა კოლაფსისგან, რომლის გამოძახილი დღემდე გრძელდება. მსოფლიოს უძლიერესი და უდიდესი რომის იმპერია დამარცხდა ფიზიკურად დაუცველი და სუსტი ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლაში. აშშ-ის სამი პრეზიდენტის (რიჩარდ ნიქსონი, ჯერალდ ფორდი, რონალდ რეიგანი) სპეციალური კონსულტანტი, პოლიტიკური კომენტატორი პატრიკ ბიუქენენი აბსოლუტურად

BRAMS Journal No. 6 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

მართალია, როდესაც ჭეშმარიტ მტრად მიაჩნია იდეა, პრინციპები, იდეოლოგია.[63]

ლიტერატურა ▫ References

1. Достоевский Ф. М. (1991). *Братья Карамазовы*. Л.: изд-во «Наука» [ilibrary.ru/text/1199/index.html].
2. Жижек С. (2010). *О насилии*. М., стр. 96.
3. Жижек С. Указ. соч., М., стр. 108.
4. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal. Ruhollah Khomeini, p. 331 (In Georgian).
5. მუსტაფა ქემალ ათათურქი (თურქ. Mustafa Kemal Atatürk, 1881-1938) – თურქი ფერლდ-მარშალი, თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებელი მამა და მისი პირველი პრეზიდენტი 1923-1938 წლებში [Itzkowitz, Norman (2022, January 1). Kemal Atatürk. *Encyclopedia Britannica* (britannica.com/biography/Kemal-Ataturk)].
6. Харрис С. (2011). *Конец веры. Религия, террор и будущее разума*. М., стр. 40.
7. *Gangs of New York.* Directed by Martin Scorsese, Miramax Films, 2002.
8. Ефимов И. (2008). *Грядуший Аттила. Прошлое, настоящее и будущее международного терроризма*. М., стр. 242.
9. Харрис С. Указ. соч., стр. 203.
10. ჰამასი (არაბ. „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა“, ინგლ. Hamas) – პალესტინელი ნაციონალისტი სუნიტების ფუნდამენტალისტურ-მილიტარისტური ორგანიზაცია. დაარსდა 1987 წლის 10 დეკემბერს [hamas.ps/en].
11. ჰეზბოლა (არაბ. „ალაჰის პარტია“, ინგლ. Hezbollah) – ლიბანის შიიტური პოლიტიკური პარტია და სამხედრო დაჯგუფება. ოფიციალურად დაარსდა 1985 წელს [moqawama.org].
12. Харрис С. Указ. соч., стр. 230, 233.
13. Харрис С. Указ. соч., стр. 239.
14. Шапиро Р. (2009). *Прогноз на будущее*. М., стр. 49.
15. ჯიჰადი (არაბ. jihād „სწრაფვა, ბრძოლა“) – ბრძოლა სიკეთის საკეთებლად, საკუთარი თავისა და საზოგადოებისგან უსამართლობის, ჩაგვრისა და ბოროტების მოშორების მიზნით. ჯიჰადი შეიძლება იყოს სულიერი, სოციალური, ეკონომიკური ანდა პოლიტიკური ბრძოლა [islamexplored.org/what-is-jihad].
16. Харрис С. Указ. соч., стр. 203-204.
17. ალფა-კენტაური (ინგლ. Alpha Centauri) – ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი კენტავრის სამხრეთ თანავარსკვლავედში. მდებარეობს დედამიწიდან ოთხი სინათლის წელიწადის მანძილზე. შეუიარა-

ღებელი თვალით, სისტემაში ერთი ობიექტი ჩანს. სინამდვილეში, ალფა-კენტავრი სამმაგი ვარსკვალვური სისტემაა და დამის ცაზე სიკაშკაშით მესამეა [nasa.gov/mission_pages/chandra/images/alpha-centauri-a-triple-star-system-about-4-light-years-from-earth.html].

18. Харрис С. Указ. соч., стр. 43.
19. Харрис С. Указ. соч., стр. 49.
20. АУМ СИНРИКИО (იაპ. Aum Shinrikyo „აუმის ჭეშმარიტების სწავლება“) – იაპონური რელიგიური სექტა, მეორედმოსვლის ბუდისტური კულტი. შეიქმნა 1987 წელს. მისი დამაარსებელი სოკო ასაჰარა და სექტის კიდევ 12 წევრი (მათ შორის, 7 ხელმძღვანელი) 2018 წლის 6 ივლისს სიკვდილით დასაჯეს მასობრივი მოწამვლის ბრალდების საფუძველზე. მათ 1994 წელს ქალაქ მაცუმოტოს პრეფექტურაში ნერვული აირი, ზარინი გაუშვეს, რომელმაც შვიდი ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო 1995 წელს იგივე მომწამვლელი ნივთიერება ტოკიოს მეტროში გაუშვეს, რის შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა და 6 ათასზე მეტი მოიწამლა. დღეს სექტის მიმდევართა რაოდენობა 50 ათასს აღემატება [ფოცხვერია გვანცა (6 ივლისი, 2018), იაპონიაში სექტა „აუმ სინრიკიოს“ დამაარსებელი სიკვდილით დასაჯეს, ტელეკომპანია „პირველი არხი“ (1tv.ge/news/iaponiashi-seqta-aum-sinrikes-damaarsebeli-sikvdilit-dasajes)].
21. „სახალხო ტაძარი“ (ინგლ. The Peoples Temple of the Disciples of Christ) – ამერიკული ახალი რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც 1854-1978 წლებში არსებობდა. ამ სექტის დამაარსებლის, ჯიმ ჯონსის (1931-1978) ქადაგებით შეგულიანებულმა 909 ადამიანმა 1978 წლის 18 ნოემბერს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა [Melton, J. Gordon (3 July 2020), “Peoples Temple”. *Encyclopedia Britannica* (britannica.com/topic/Peoples-Temple)].
22. Харрис С. Указ. соч., стр. 81, 111.
23. Oriana Fallaci [oriana-fallaci.com].
24. Харрис С. Указ. соч., стр. 170.
25. Alain Finkielkraut [levinas.fr].
26. Харрис С. Указ. соч., стр. 199.
27. СЕКУЛАРУЛИ (ლათ. saecularis „საერო“) – რწმენა, რომლის მიხედვითაც, რელიგია არ უნდა ჩაერთოს საერო (სეკულარულ) ურთიერთობებში. სეკულარიზმი, ჩვეულებრივ, გამოიხატება რელიგიის სახელმწიფო ხელისუფლებისგან გამოყოფის სურვილში (ჰეივუდი ენდრიუ (2004), პოლიტიკური იდეოლოგიები (შესავალი კურსი), მთარგმნელი: თამარ ბაკურაძე და სხვ., თბილისი: „ლოგოს პრესი“).
28. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2021, June 8). Six-Day War. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/event/Six-Day-War].

29. Nadare, Maia (2011). *Media and Political Image*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 382 (In Georgian).
30. Rosenau, William, and Sara Daly (2010, August). American Journeys to Jihad: U.S. Extremists and Foreign Conflicts During the 1980s and 1990s. *CTC Sentinel*, 3(8), 2010, pp. 17-20, Combating Terrorism Center (ctc.westpoint.edu/american-journeys-to-jihad-u-s-extremists-and-foreign-conflicts-during-the-1980s-and-1990s).
31. საერთაშორისო ისლამური უნივერსიტეტი (ინგლ. International Islamic University, IIU) – საჯარო კვლევითი ინსტიტუტი პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში. დაარსდა 1980 წლის 11 ნოემბერს (iiu.edu.pk).
32. ალ-აზჰარის უნივერსიტეტი (ინგლ. Al-Azhar University) – მუსლიმურ რელიგიურ და საერო უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა კომპლექსი კაიროში (ეგვიპტე). ეგვიპტის უძველესი და მსოფლიოს მეორე უძველესი უნივერსიტეტი, რომელიც სამეცნიერო ხარისხს ანიჭებს. დაარსდა დაახლ. 970-972 წლებში, 1961 წელს მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი (azhar.edu.eg/en).
33. ლტოლვილთა ცენტრი „ალ-ქიფაჰი“ (ინგლ. Al Kifah Refugee Center) – საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინაც ბრუკლინში (ნიუ-იორკი, აშშ) ფუნქციონირებდა ფარუქის მეჩეთის ბაზაზე (მისამართი: ატლანტიკ-ავენიუ 552). დაარსდა 1984 წლის მიწურულს. აშშ-ის 30-ზე მეტ ქალაქში ჰქონდა ფილიალები [Emerson, Steven (1 September 1998), “Journal of Counterterrorism and Security International”. *The Investigative Project On Terrorism* (investigativeproject.org/186/inside-the-osama-bin-laden-investigation)].
34. Wright, Robin (1995, February 7). Islam in the ‘90s: A Study of Diversity: Despite pervasive stereotypes, major Islamist groups differ widely in tactics and tenets. *The Los Angeles Times* [latimes.com/archives/la-xpm-1995-02-07-wr-28981-story.html].
35. ჯიჰადის მსოფლიო ფრონტი, ალ-კაიდა (არაბ. Qaedat al-Jihad, i.e. Al-Qaeda, ინგლ. World Islamic Front) – სუნიტი მუსულმანების მრავალეროვნული, სამხედრო, ექსტრემისტული დაჯგუფება. 1988 წელს დააარსა უსამა ბინ ლადენმა „იუდეველებთან და ჯვაროსნებთან საბრძოლველად“. დღემდე აქტიურია [britannica.com/topic/al-Qaeda].
36. ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ინგლ. Organization of Islamic Cooperation, abbr. OIC) – დაარსდა 1969 წლის 25 სექტემბერს ქალაქ რაბათში (მაროკოს სამეფო) და 57 წევრი ქვეყნისგან შედგება (oic-oci.org/page/?p_id=52&p_ref=26&lan=en).
37. ისლამის სახალხო კონფერენცია – დაფუძნდა 1990-იან წლებში ქალაქ ხართუმში (სუდანი). მიზნად ისახავდა იერუსალიმისა და ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული მიწების განთა-

ვისუფლებას, აგრეთვე, მუსლიმურ მოძრაობათა მხარდაჭერას ბოსნიაში, კოსოვოში, ქაშმირსა და ჩეჩნეთში [Sharfi, Mohammed Hussein (2015, October-December). Sudan's radical foreign policy agenda in the 1990s: an overview of implications. *Contemporary Arab Affairs*, 8(4), pp. 523-534, University of California Press (jstor.org/stable/48600021).

38. ისლამური ლეგიონი, ისლამის პანაფრიკული ლეგიონი (არაბ. al-Faylaq ul-'Islāmiyyu, ინგლ. Islamic Pan-African Legion) – პანარაბული გასამხედროებული ორგანიზაცია. დაარსდა 1972 წელს ლიბიის ყოფილი ლიდერის, მუამარ კადაფის (1943-2011) ხელმძღვანელობით, აფინანსებდა ლიბიის მთავრობა [Islam in Gaddafi Libya (liquisearch.com/islam_in_libya/islam_in_gaddafi_libya)]. არა მარტო ისლამის პროპაგანდას ეწეოდა, არამედ ეხმარებოდა კიდეც ექსტრემისტული სულისკვეთების რელიგიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს [soldiers-of-misfortune.com/history/islamic-legion.htm].
39. ოპეკი (ინგლ. The Organization of the Petroleum Exporting Countries, abbr. OPEC) – დაარსდა 1960 წლის 14 სექტემბერს (opec.org).
40. არაბული თანამშრომლობის საბჭო (ინგლ. Arab Cooperation Council, abbr. ACC) – დაარსდა 1989 წლის 16 თებერვალს. დაიშალა 1991 წელს, რადგან მისი წევრები სხვადასხვა მხარეს აღმოჩდნენ სპარსეთის ყურის ომის (1990-1991 წლებში) დროს (encyclopedia.com/politics/dictionaries-thesauruses-pictures-and-press-releases/arab-cooperation-council-acc).
41. სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა საბჭო (ინგლ. Gulf Cooperation Council, abbr. GCC) – არასამთავრობო ორგანიზაცია. დაარსდა 1981 წლის 25 მაისს ქალაქ აბუ-დაბიში (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) [arab.org/directory/gulf-cooperation-council]. შტაბ-ბინა მდებარეობს ქალაქ რიადში (საუდის არაბეთი) [gcc-sg.org/en-us/Pages/default.aspx].
42. არაბული მაღრიბის კავშირი, მაღრიბის კავშირი (არაბ. Ittiḥād al-Maghrib al-'Arabī, ინგლ. Arab Maghreb Union, abbr. AMU) – პოლიტიკური კავშირი და ეკონომიკური კავშირი სავაჭრო შეთანხმებით, რომელიც აერთიანებს ჩრდილოეთ აფრიკის მაღრიბულ (დასავლეთ) ქვეყნებს: ალჟირს, ლიბიას, მავრიტანიას, მაროკოსა და ტუნისს [maghrebarabe.org/?q=en].
43. ნაციონალიზმი (ინგლ. nationalism) – 1) იდეოლოგია, რომელიც ნაციის, ერის ცნებას ემყარება და გარკვეულ პოლიტიკურ თუ კულტურულ მიზნებს ისახავს. მათ შორის, უმთავრესია ეროვნული თვითგამორკვევის იდეა; 2) გრძნობა, რომლის მიხედვითაც ერი და ერი-სახელმწიფო არის უმაღლესი ღირებულება და მათდამი ლოიალობა დომინანტურია ანუ ეროვნული ინტერესები უნდა იდგეს პირად, ნათესაურ, ტომობრივ, კლასობრივ, რელიგიურ თუ ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე მაღლა [დავითაშვილი ზურაბ (2004), სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექ-

სიკონი-ცნობარი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი: „ლოგოს პრესი“ (dictionary.css.ge/content/nationalism)].
44. ᲫᲡᲔᲜᲝᲤᲝᲑᲘᲐ (ბერძნ. xenos „უცხო, უცხოელი“ + phobos „შიში“) – უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი; პათოლოგიური შიში უცხოელების ან უცხო კულტურის მიმართ (იხ.: ჰეივუდი ენდრიუ (2004). პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“).
45. ᲫᲡᲔᲜᲝᲤᲘᲚᲘᲐ (ბერძნ. xenos „უცხო, უცხოელი“ + philia „სიყვარული“) – უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიყვარული (მოხელის სამაგიდო ლექსიკონი (2004). შეადგინა სამსონ ურიდიამ და სხვ., თბილისი: საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკა).
46. ᲫᲡᲔᲜᲝᲚᲝᲑᲘᲐ (ინგლ. xenology) – უცხო (უცხოპლანეტური) კულტურის, ბიოლოგიის და ა.შ. სამეცნიერო კვლევა, შესწავლა. ტერმინი 1950-იან წლებში გაჩნდა (Liddell, Henry George, and Robert Scott (1968). *A Greek-English Lexicon*, Nineth Edition, Oxford, England: Clarendon Press).
47. Жижек С. (2010). *О насилии*. М., стр. 90.
48. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2022, February 21). Hosni Mubarak. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/biography/Hosni-Mubarak].
49. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 137-139, 143 (In Georgian).
50. Osama bin Laden's 1998 interview (2001, October 8). *The Guardian* [theguardian.com/world/2001/oct/08/afghanistan.terrorism15].
51. Patrick Joseph 'Pat' Buchanan [buchanan.org].
52. ᲕᲐᲰᲐᲑᲘᲢᲘ – ისლამის ერთ-ერთი რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობის, ვაჰაბიზმის მიმდევარი. ვაჰაბიზმი დააარსა მუჰამედ იბნ აბდ ალ-ვაჰაბიმ (1703-1787). იგი მიზნად ისახავს მაჰმადიანობის საფუძვლებთან დაბრუნებას. გამოირჩევა უკიდურესად რეაქციული ხასიათით. ვაჰაბიტები ქადაგებენ რელიგიური სიწმინდის დაცვას, ფუფუნების უარყოფას, სიმდერის, ცეკვის, თამბაქოს მოწევის აკრძალვას, ღვინის სმისგან თავის შეკავებას. ვაჰაბიზმის უმთავრესი იდეაა ერთიანი მუსლიმურ-სუნიტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება (იხ.: მოხელის სამაგიდო ლექსიკონი (2004). შეადგინა სამსონ ურიდიამ და სხვ., თბილისი: საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკა).
53. Said, Edward (1977). *Orientalism*. London, England: Penguin [soctheory.files.wordpress.com/2012/09/said_edward1977_orientalism.pdf].
54. Жижек С. Указ. соч., стр. 61.
55. რᲔᲡᲔᲜᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘ (ფრანგ. ressentiment „გაბოროტება“) – ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ტერმინი, რომელიც გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ გამოიყენა პირველად წიგნში „მორალის გენეოლოგია“. საკმაოდ მრავალწახნაგა კონცეფცია, რომელიც გამოხატავს ისეთი სუბიექტის გრძნობას, თავის ყვე-

ლა წარუმატებლობის მიზეზად რომ სხვას მიიჩნევს (მტრები, არაკეთილმოსურნეები, ა.შ.). რესენტიმენტი არასრულფასოვნებისა და სისუსტის აღმნიშვნელი მორალური თვისებაა.
56. Бьюкенен П. (2006). *Правые и неправые. Как неоконсерваторы заставили нас забыть о рейгановской революции и повлиять на президента Буша*. М., стр. 114, 118, 123.
57. De Graff, Dachi (2021). George XI of Kartli and his military mission in Afghanistan. *BRAMS Journal*, 2(1/2), pp. 57, 74 (In Georgian).
58. Huntington, Samuel P. (1996). *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order*. New York, NY: Simon & Schuster.
59. კვაზიომი (ინგლ. Quasi-War, ფრანგ. Quasi-guerre) – ოფიციალურად გამოუცხადებელი საზღვაო ომი აშშ-სა და საფრანგეთის პირველ რესპუბლიკას შორის 1798-1800 წლებში [Conley, Nathaniel (2015). Quasi-War. *The Encyclopedia of Greater Philadelphia*, Rutgers University (philadelphiaencyclopedia.org/essays/quasi-war)]; აქ: მოჩვენებითი ომი.
60. Саид Э. В. (2006). *Ориентализм. Западные концепции Востока*. СПб, стр. 234-235.
61. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2022, March 28). Mohammad Omar. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/biography/Mohammad-Omar].
62. ულემი (არაბ. ulema ან ulama) – ღვთისმეტყველების მუსლიმი პედაგოგი. იგი იცავს, შეასწავლის და განმარტებებს აკეთებს ისლამის რელიგიური დოგმების, დოქტრინისა და სჯულის კანონის თაობაზე. პატივცემული და განათლებული მუსლიმის აღმნიშვნელია (In: Afsaruddin, Asma (2020, February 12). ʿulamāʾ. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/topic/ulama].
63. Жижек С. (2010). *О насилии*. М., стр. 50.
64. Ваисс М. (2005). *Международные отношения после 1945 года*. М., стр. 318.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)